ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3216565

ნომერი: AR1496403

თარიღი : 19.04.2017

გაცემის თარიღი : 20.04.2017

გაცნობის თარიღი : 20.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კარლო ალექსიძე პ/ნ 01023005908
- თბილისი ს. დიღომი ხატაეთის ქ. N 6

ორგანიზაცია:
- შპს "ალდა ჯგუფი" კოდი: 405104943

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 08 თებერვლის №3085622 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 19 აპრილის №AR1496403 განცხადებით მომართა მოქ. კარლო ალექსიძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 08 თებერვლის №3085622 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 08 თებერვლის №3085622 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, შპს "ალდა ჯგუფი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ: N01.72.14.036.211 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ: ამოღებულ იქნას სარდაფის ფართობი 850 კვ.მ, დაემატოს ავტოსადგომის ფართობი 820.30 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად მიეთითოს 302,4 კვ.მ. ნაცვლად 284.9 კვ.მ-სა, დამხმარე ფართობად მიეთითოს 214.3 კვ.მ. ნაცვლად 201.9 კვ.მ-სა.

სამსახურმა 2017 წლის 19 აპრილის №AR1496403 განცხადებით მოთხოვნილი ცვლილება შეადარა სამსახურის 2017 წლის 08 თებერვლის №3085622 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2017 წლის 08 თებერვლის №3085622 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 08 თებერვლის №3085622 ბრძანებაში, კერძოდ: ამოღებულ იქნას სარდაფის ფართობი 850 კვ.მ, დაემატოს ავტოსადგომის ფართობი 820.30 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად მიეთითოს 302,4 კვ.მ, დამხმარე ფართობად მიეთითოს 214.3

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 08 თებერვლის №3085622 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 08 თებერვლის №3085622 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.